

რამდენსამე იმათგანს ეგზამენი კარგათ
დაუჭერია.

ურალების ლირისია, რომ ჩვენი თა-
ვადა-აზნაურობა თითქმის უკეთა სხვა
სასწავლებელზე უფრო ამ სამხედრო
შიშნაზიას ეტანება, ცდილობს, რომ უ-
ეჭველად იქ და არა სხვაგან სადმე, მის-
ცეს თავის შეილი სასწავლებლად. თუ
არ ეცდებით, ამის მიზეზი ერთი ის უნ-
და იყოს, რომ აქ მუქთად გამოუზიან
იმათ შეილებს და მცორეთ ის, რომ სამ-
ხედრო კაცის გზა, კარიერა უფ-
რო ცხ-დი, გარეკეული, გაკვალულია:
მიიღებს აფიცირობას და წავა თავის გზა-
ზე. მესამე მიზეზად იქნება ისიც უნდა
ჩაითვალოს, რომ მხედრობა, სამხედრო
საქმე და ხალხი ჩვენ თავადა-აზნაურობას
ძევლათვანვე უფრო მოსწონთ, უფრო
ჰატივი აქვს იმისი, ვინემ საერთოს.

მაგრამ საუბრებულოდ ეს ლტოლები-
ლება დაუკმაყაფილებელი რჩება, რად-
გან ხსენებულ სამხედრო გიმნაზიაში ვა-
კანსიები ცოტა არის და შესვლის მსურ-
ელები კა ერთობ ბევრი; მაგალითად,
წელს ამბობენ, სულ 20 ვაკანსია იყ-
ონ და მსურებელები კი სამასამინ ალ-
მონჩნდათ. ამბობენ აგრეთვე, რომ ეგ-
ზამენების ღროს ზოგიერთი უკანონობა
ხდებათ, ყოველთვის არ აქცევენ იმას
უურადლებას თუ ვინ უკეთ დაიჭირა ეგ-
ზამენით და სხვ.

ძალიან კარგი იქნება, რომ უკეთა
ამას ჩვენმა მთავრობამ ჯერთვანი უუ-
რადლება მიაქციოს. აუცილებლად სა-
ჭიროა ვაკანსიების გამრავლება და ეგ-
ზამენების დაჭირისა და ყმაშვილების მი-
ლების ღროს უფრო მომეტებული სა-
მართლიანობა და წინ-დახედულობა.

* * * იმერეთიდამ გვწერენ, რომ პუ-
რისა და სიმინდის მოსავალი აქეთკენ
წელს საკმაოდ კარგი იყოვო; ღომს კი
ამ უკანასკნელ წელიწადში საზოგადოთ
იდერეთში ძალიან ტოცას სთხეს თურ-
მე, რადგან ბევრი წვალება ეჭირება და
ხეირიც მავდენი არა არის-რაო. ლვინის
მოსავალს კი თითქმის სრულიად არ
მოელიან. მისაც ადრე რვაი-ათი საპალ-
ნე მოუდიოდა, წელს ერთ საპალნესაც
ძლიერ ელიტება, — სულ ისევ ნაცარმა
გაუუჭაო და სიცხისაგნ რალაც შავი
ლაქები გაუჩნდა და გახმა, გამოფუტურ-
და უურდენიო.

ს

* * * ” აქართველობში წერა-კითხვის
ცოდნის გამაგრებულებელმა საზოგადო-
ებამ ვაუგზავნა შემდეგი წერილები სა-
ქართველოს სასოფლო შკოლების უკე-
ლა მასწავლებლებს:

” მოწყალეო ხელმწიფევ!

” მთილისის წიგნის-ცოდნის გამაგრ-
ებულებელი საზოგადოების გამგეობა
გთხოვს თქვენ, რაც შეიძლება მალე,
შეატყობინოთ მას შემდეგი ცნობები
თქვენდამი რწმუნებულს სოფლის სასწავ-
ლებელზე:

” 1. რამდენს გარდასახადს იხდის სოფ-
ლის საზოგადოება თავის სასწავლებლის
შესანახავად წლის თავზე და რამდენი

ეძლევა ამ გარდასახადიდამ სოფლის მას-
წავლებელს, რამდენი იხარჯება წიგნებ-
ზე, მოსამსახურებზე და სხვ?

” 2. ამ სოფლის წლიურ გარდასახადს
გარდა თქვენს სასწავლებელს აქვს თუ
არა სხვა რამ წყარო, როგორც მაგ.
სასწავლებლისთვის ერთ-დროებით მოგ-
როვილი ხელ-უხლებელი ძარის ფული
(ფონდი), მუდამი კერძო შესაწირავი
და სხვ.

” 3. რამდენი შაგირდებია (ქალი და
ქაცი) თქვენს სასწავლებელში? დიდია
თუ ცოტა იმათი რიცხვი სოფლის ცხოვ-
რებლებთან შედარებით?

” 4. რა წეგნები, სახელ-მძღვანელო-
ები და სწავლის მასალები არის ჩხარე-
ბაში თქვენს სასწავლებელში?

” 5. როგორია თქვენი სასწავლებელის
სახლი? თუ აკლია რაბე, რაში მდგომა-
რეობს ეს ნაკლულებანება და საზოგა-
დოთ რა ნაირი დაბრკოლებას ხედავს
სასწავლებელი მატერიალურის მხრივ?

” 6. მჭირებელი თუ არა თქვენს სასწავ-
ლებელს კლასსის მებელი, თუ ეჭირება
რა და რამდენი?

” 7. რა თვეებში მატულობს შა-
გირდების რიცხვი სასწავლებელში, რა
თვეში კლებულობს და რა მიზეზის
გძოვა?

” 8. მეცოდომა. წარსულ ოთხშაბათს ჩვე-
ნი გაზეთი, 179 ნომრის მაგიერ, 178
ნომრით გამოიდა, ასოს-ამწყობის და-
უხედავით მოხდა ზოგიერთს ეგზემ-
ბლიარების სათაურებში ეს შეცდომა.

შერიც რედაქტორის

შეთაისის სასულიერო სასწავლებლის
ზედამხედველს გაუყონია, რომ თხოვ-
ნებზე და მოწმობებზე ღრების მარკები
უნდა ეკრასო; მაგრამ ის აღარ იცის —
თუ რომელ მოწმობაზე უნდა იყოს დაკ-
რული ღრების სამ აბაზიანი მარკა და
რომელზე არა.

საქეცენოთ არის გამოცხადებული,
რომ ის მოწმობა, როგორსაც ეჭირები
ძლიერება ბავშებს უვავილის აცრაზე გან-
თვისუფლებული არის ღრების მარკე-
ბისაგან. სხლა მოისმინეთ რას ჩაღის
უფ. ასათიანი. მიღის საწყალი მღვდელი
და ძლიერების თხოვნას, რომელშიაც სხევ
ეჭირის მოწმობა, კლასში შესავანი ბავ-
შებს უვავილის აცრაზე მოცემული.

— ამას, მამაო, მარკები არ აკრავს!
ეუბნება უფ. ასათიანი.

— ასე მოგახსენებენ, ბატონო, რომ
მაგისთანა მოწმობას მარკები არ უნ-
დათ, ეუბნება მღვდელი.

— მინ გითხო ეგ? მე პარადემია მაქვს
შესრულებული და შენ მასწავლი? ჩეა-
რა მოიტანე მარკები.

— ბატონო! ღიკტორი როგორ ვერ
მიხედვოდა, თუ უნდოდა მარკები? მუბ-
ნება მღვდელი.

— მე შენი ლაპარაკის თავი არა
მაქვს...

მეტი ღონე არა აქვს მღვდელს, უნდა

იყოდოს სამ აბაზიანი მარკება და დაუკრის
მოწმობას, რომელსაც ზედამხედველი
დიდის თავმოწონებით გაუსწოვა ჯვარები-
ლინათ ხაზს.

” ელიწადში შეთაისის სასწავლებელში
შევა მოასი ბავში ამისთანა მოწმობე-
ბით. რომ ის სამი აბაზი შეადგენს 120 პ.

ასე, უფ. ასათიანის უცოდინარობის
წყალობით, სამდვლოებას ტყუებილა
უბრალოთ ხდება 120 პ. ყოველ წელს
და სხვა კიდევ სხვა არის. შეელა სამ-
დვლელოებს შეუძლიათ უჩივონ და
გარდასხდევინონ ეს ფულები მას; მაგ-
რამ ვინ გაბედავს ამ წყეულ და დასაქ-
ცევ ღროში ჩივილს.. ნუთუ არ ესმის
უფ. ასათიანი, რომ ამისთანა მოწმო-
ბებზე მარკების დაკვრა მისი საქმე არ
არის.

ამ ჩეენ შეუთაისში მაინც ზოგიერთი
მოსამსახურე პირები ბრალიან და უბრა-
ლო ქალალზე თხოვლობენ მარკას.

ვსოდეთ რუსული გაზეთის რედაქ-
ტორებს ეს შენიშვნა გადატანებულ
თავის გაზეთებში, იქნება ვისიც შესახებე-
ლი არის წაიკითხოს და განათავისუფლოს
ამ უაჯაო გარდასახადისაგნ მღვდელები.

იმერელი მღვდელი.

” შენი შვენი. მექიმები, მოწმობის
მიცემაში, ყველას მანეოს ახდევინებენ.
შენიც ძლიერ უკანონოთ იქცევიან,
რადგან მთავრობა აძლევს მათ საკმაო
ჯამაგირის. იქნება მიხედონ ღმერთის და
ამასაც მიაქციონ უურადლება ვისიც რი-
გია.

დოობის “კორრესპონდენცია

” სიღნალი, 25 აგვისტის. მეცადინეობა
ზოგიერთის სიღნალებისა ბანკის შედ-
გენაზე დაბრკოლაც შენება, ზამარცე-
ლებიანის შეცადინების მეცადინებას კი უფრო
ძრიელ დიდი გამოენა ჰქონია: ამათი
მათემატიკა ხალხს წინ ისეთ შექცებს უ-
ყენებს, რომ, არა მგონია, თვალი გაა-
ხილონ. მოთმანეთზედ მინდობა არა აქვთ.
ამათში უმეტეს ისინი ლაპარაკობენ,
რომელთაც სიაზე და ხელი მოწერილი
არა აქვს და იმას კი: ხმა აქვს თამათ,
თუ არა, — კაცი არ ჰქითხულობას. ღმერთ-
მა მისცემ შემწეობა კეთილ საქმის და-
თესისათვის, მაგრამ დიდათ სამწუხარო
ის არის, რომ ჩეენ სოფლებში ქართველ
ცხოვრებთაგანში გამცარცულებიან-
ცების მეცვილეობათ გამოჩენილან!

” ს. ვაქირში ამ ცოტა ხანში, ერთ
კვირა დღეს, სასოფლო ყრილობაში
გლეხებს ჰქონდათ მოლაპარაკება ბან-
კის გახსნაზედ; ამ ლაპარაკში დაესწრა
იქაური ეკლესიის დიაკვანი, ხუციენი
და დაუწყო ქადაგება: „თქვენთვის
ბანკი სასარგებლო არ არისო; რადე-
საც ფული მოგინდეთ, მე გასესხებოთ,
მცირედ სარგებელს გამოგართმევთო,
თუმანზედ ათ შაურსაო!“

ამ დიაკვანსაც კარგი მათებატიკა სულიდია! თურმე მართლა ყოველთვის ისე ასესხებს ფულებს, ეს გლეხებმაც დაამტკიცეს. ამ რა წარმოსთქა ამა საგანზედ იქ მდგომა სომხება:

„მართალია, „იან ცები“ იღებენ უსვინილისონან ცის წესზედ სარგებელსაო, მაგრამ არც „ერაციები“ აკლებენო.“

ამა ერთი ვიზიტორი, რა საქმე აქვს სამღვდელო კაცს და, საზოგადოთ, სასულიერო პირს, გაერიოს სასოფლო ყრილობაში? პრ შერცხათ, რომ ბანკის განჩინებაზედ ხელი მთაწერეს და კიდევაც წარადგინეს? უშვილესი არ არის, რომ თავის თანამდებობაზედ იყვეს ბეჯითად? ილოცის, რათა ჩაენერგოს იმას გულში კაცთ-ზოვარეობა?

მართალია, მკითხველნო, თავი შეგაწყინეთ, მაგრამ არ შეიძლება არ მოგახსენოთ ერთიც, — სიღნაღმის კლუბის გარემოება. აქ ერთი ეკონომი ჰყავთ; როდესაც ამას ჰყითხამენ რა გაქვსო? უპასუხებს: „ნიჩავო ნიატუ, ბარინ!“ ზამთარში კი, თუ ჰყითხეს, ღიმილით უპასუხებს: „კურდელი ისტრ, ბარინ“

მართლაც, ყოველ დღეს კურდელს არ მოგაკლებს; მაგრამ სადა შოულობს იმტელს, არ ვიცით? იქნება, ჩხავილი რომ იციან იმათგანიც იყოს?

მს არაფრია კიდევ! ერთი მაუდ გადაგლეჯილი სტოლის მეტი არა აქვსთ; განხეთებს ხო თვალით ვერა ჰერდვენ და ოც თუმანზე მეტი ფული კი ეხარჯებათ გამოსაწერათ სხვა-და-სხვა განხეთებისა! ვის მოსდის და სად არის წიგნები და განხეთები ნეტავ?

ჩხერები რო სტარშინებს უურს არ უგდებენ და არც ეპუებიან, ეს ასე მიტომ უნდა იყენეს. საცინელი ის არის, რომ ხან-და-ხან განხეთი „დროება“, რომელსაც დიდის სიამოვნებით ჰყითხულობენ, იქმნება ხოლმე სტოლზედ, ამასაც ერთი მტერი ჰყავს: ეს მამაცი მიიხედმოხედავს, სტაცებს ხელს, ჯიბეში ჩხაჭუნავს, სამს დღეს შინ შეინახავს, შემდგომ მოიტანს, დასდებს სტოლზედა და როდესაც დაიწყობენ ლაპარაკს:

„დროებაში“ კარგ ანბავებს სწერამენი, ჰყითხავს იქ მყოფებს:

— „დროებაში“ რა ეწერაო? მსენი ჩუმათ ჯერ დიმილით წარმოსთქავამდნ: თუ რომ არ წაიკითხამდი, მაშ რასთვის მიარბენინებდიო, და შემდგომ დაიწყებენ სიციონს! მაცმა სწორეთ უნდა სთქვას, ჩლენები, უშერესი ნაწილი, კარგნი ხალხი არაან; შეიყრებიან, ილაპარაკებენ, დროს იმით გაატარებენ და შემდგომ წავლენ თავიანთ ცოლ-შვილებთან!

მიღევ მოლოდინელი.

რუსეთი

განხეთი „ნოვოსტი“ გეაცნობებს, რომ ხალხთა განმანათლებელ სამინისტროს კომისიამ, — რომელსაც უნდა განეხილა კითხვა, რომ სახალხო შეოღვა,

ბის მასწავლებელთა (როგორც ვაჭთა-ისე ქალთა) მისცემოდათ წება პესის მიღებისა შემდეგ რამოდენიმე წლის ნამსახურობისა, — შეასრულა თავისი მეცადინეობა. თავსმჯდარე ამ კამბისისა იყო აკადემიკი ვ. ი. ბუნიაკოვესკი. მამისიამ დაინახა საუმჯობესოთ მოუმატონ სახალხო შეოღვაბის მასწავლებლების ჯამაგირებს 6% (ექვსი პროცენტი) და ეს მომეტებული ფული განსაკუთრებულ თავით შეადგინონ და აქედამ ძლიონონ პენსია მასწავლებლებს (ქალს, ანუ კაცს) იმის ჯამაგირის, სამსახურის ვადის და მდგომარეობის და გვარად, (ამაგბის შინედვით).

— ამავე განხეთის სიტყვით, ერთ უმაღლეს აღმინისტრატიულ დაწესებულებაში აღმრულია კიოხვა პედაგოგების საზოგადო კრების შედეგის საჭიროებაზედ, იმ მიზნით, რომ განსაჯონ და გადასწყვეტს რამდენიმე კიოხვები სახალხო შეოღვაბის საჭიროებაზედ და იმათში შემდებარებელ აგრეთვე იმ კიოხვების ასახსნელად, რომელნიც საზოგადოთ ჰედაგოგიურ შრომას და მეცადინეობას შეეხებიან. ამასთან, როგორიც ამბობენ, განზრახვა აქვსთ შეკრიბონ სახალხო მასწავლებლებისაგან დაწერილებითი ცნობანი იმაზედ, თუ რამდენათ სასარგებლო იქნება ვალდებულებითი სწავლის შემდებარება, რომელსაც ჰყივიქრობენ მოახდინონ.

საბასო

კვალითალის კორემსაოდენციის
კასუები

მე არ მომდის თქვენი პრივ-ცემული „დროება“ და სხვებმა მითხრეს ერთი უცნობი კორემსაოდენციისაგან ხართ გალანდულიო. ვიშვე ქ. 61 „დროებისა“ და წაეკითხო ვიღაც ძ—ლის ნაწერი, რომელიც თავიდამ ბოლომდის საესე არის სხვა-და-სხვა ტყუილს მოგონებაშითა. არ ვიცი, რომელიც ერთის ტყუილის გამართლებას შეეუდევ. უკელა იქ მოხსენებულის გამტუნება რომ დავიწყო, ვიცი თქვენი ვანხეთი არ მომცემა ამის ნებას აღილის უქონებლობისა გამო.

კარგი დაგემართოს, კარგი იყოს სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების გამოაშკარება, მაგრამ დიდი უსინიდისის არის კორემსაოდენციის მხრით თავის ქებისა და სხვის მტერობისათვის მოჰყვეს და იმოდეს ყოველ ნაირი სისულელე, დაფუძნებული სოფლის დედაბრების ჭორებზე!

შეელაზედ სამწუხარი ის არის, რომ კორემსაოდენციის სხვა პირებს აძაგებს და ჰყიცხას ცულ-მოქმედებისთვის და თვითონ კი მრთელი საზოგადოების წინაშე აშკარა დამნაშავეა. აქ, რასაკირევისა, თქვენ არ ხართ დამნაშავე, უ.

რედაქტორო, თქვენ როგორიცებული ამის დამწერები უ. კ—ლმა რედაქტორი ნა, როგორ ძოტულებით გამოართვა ერთ საცოდავ გლეხს 2,000 მან. ყალბი ვექსილით და როგორ აწერა მრთელი ძალული და გაუყიდა, მაშინ, რასაკირელია, აღარ გექნებათ მისი ჩრდილება; მაგრამ თქვენ ეს არ იცით!.. ამისთანა კორემსაოდენციის ყოლა სწორეთ სამწუხაროა!

არა მჯერა, რომ ისეთი სულელი მკითხველი იყოს ვინმე თქვენის „დროებისა“, თვითი კორემსაოდენციისა, რომ დაიჯეროს ისეთი ცილის-წამება, როგორიც ვითომც მე როდესაც ფულის აღება მომინდება, „გადავსცე ვისმეს ხატე, შევაჩენებ და სანამ ჩემი გულის საჯერო ფულს არ მომცემს, არ აძოუშვებ და როდესაც ას მანეთობით მომცემს ფულს, მემრე დავლოცავ და ამოუშვებ ფიც და აღარ შევაჩენებ“. ნეტავი სად ნახა მისთანა ბრიუვი და უგუნური ხალხი უ. კორემსაოდენციონტრმა? ჩეკენში ერთი ძანეთის საქმეზე ერთ უშელებელ საჩივარს აყენებნ ხოლმე და ვინ გადიხადა 100 მანეთი და აღარ იჩილა?

შეელა ამისთანა სიცრუის დააფარავად უ. კორემსაოდენციონტრი, რასაკირეველია, მოხერხებით, უჩვეუქებს პირებით ასოდებით ვიღაც მისგან გამოგონებულ პირებთა, სახელდობრ: ს. 8—ძეზედ და ერთ აზნაურზე, რომელსაც ვითომც „100 მ. გადავახდევინ დასალოცავი და აზნაურს ცოლი ჩემი უბარი მოკვედა, თუმცა ძან მრავალ გზის მთხოვა ხმა გაძეცა მისთვის!“ შეელა ესეები არის უსინიდისო ტყუვილი და მოგონება უ. ქვალითელისა!

ვითხოვ უ. კორემსაოდენციისაგან, სახელდობრ ეინ არის ს—ბ—ძე?

სად სახლობს, როდის იყო ეს და რომელიც ამან? რომელია ის აზნაური, რომლის ცოლი ჩემი უბარი მოკვედა და რომელსაც დასალოცავი და აზნაურს ცოლი გზის მთხოვა ხმა გაძეცა მისთვის!“ შეელა ესეები არის უსინიდისო ტყუვილი და მოგონება უ.

როდესაც შევიტყობ ამ გამოგონებულს პირებს, მე დაუტკიცებ „დროების“ მკითხველებს თვითონ იმ კაცებით, რომ ეს არის მტერიბით მოგონება უ. ქვალითელისა და ნამდვილი კა არაფრია არა ჰყოფილა-რა!

მე ხატის წინაშე ბევრი დამილოცავს, რაგორიც აღილობრივი ჩეეულება არის იმერეთში, აგათმყოფის ღვარისა და მის მისვენებისა და პარაკლისი მიხდია მჩევრისათვის; მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ჩემგან ხატე გადაცემული ყოლა-ფილან, — იმიტომ, რომ ამისთანა ჩეეულება აქვთ სოფლებში და ამ ჩეეულების გადაგდება მე არ შემიძლია!..

თუ დღეიდამ თუ კეირაში პასუხი არ მიეიღო კორემსაოდენციისაგან, მაშინ მე უნდა შევრიცხო ის ცრუ და ცილის-მწამებელ კორემსაოდენციონტრი, რომელსაც უნდა მოერიცოთ უ. ჩედაქტორ; შემდეგში დარწმუნებას არ უნდა ძლევედეთ ამისთანა ცრუ კორემსაოდენციონტრის.

